

## THE ACTIONS OF MACHABELIS AND AMATEUR ACTORS IN TSKHINVALI

მაჩაბლები და სცენისმოყვარეთა მოღვაწეობა ცხინვალში

ALEKSANDRE MGEBRISHVILI

Doctor of Philological Sciences,  
 Professor of Gori State University,  
 Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,  
 +995577251205, aleqsandre.m@gmail.com,  
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

**Abstract.** It must be said that it is unthinkable to talk about the founders and inspirers of the Georgian professional scene without mentioning the merits of another actor, Zaal Machabeli, who spread wings on the stage of Tskhinvali.

In the second half of the 19th century, Z. Machabeli moved from the circle of Tskhinvali amateur actors, of that time, to the circle of amateur actors of Gori, where he continued his no less fruitful activity. In general, there was a close friendly relationship between the circles of Tskhinvali and Gori amateur actors from the beginning.

From the beginning, amateur actors played an important role not only in the cultural, but also in the public life of Tskhinvali. They always responded to the important events that took place here in a timely manner.

Vano leads the circle of St. Petersburg students. He works tirelessly. He translates Shakespeare, Molière, Goldon, in 1879 he directs several Georgian performances in St. Petersburg.

The Georgian theatre of the first half of the last century was distinguished by the poverty of the repertoire, so we should consider it quite natural that the theatre owners often turned to Shakespeare. From this point of view, first of all, the work of the great Ilia and Ivane Machabeli, which they contributed to the revival and development of Georgian theatre art, is noteworthy. As N. Kiasashvili points out: It would be a mistake to think that the role of Ilia Chavchavadze and especially Ivane Machabeli as the main translator would end only with the translation of Shakespeare's text into Georgian. The Georgian translations of "King Lear", "Hamlet", "Othello" and "Macbeth", at the same time, represent a unique, deep interpretation of Shakespeare, Ilia and Ivane Machabeli perfectly understood not only the artistic-aesthetic perfection of Shakespeare's work, but also his great and deeply humanistic worldview. And the foundations, it is this worldview-aesthetic kinship with Shakespeare that gave birth to brilliant translations, as well as the excellent Georgian Shakespearean theatre.

In 1888, the translation of "Othello" was published as a separate book, which was positively evaluated by Aleksandre Sarajishvili in a letter printed in "Iveria" newspaper.

And yet, Zaal Machabeli has a special, distinguished place among the native amateur actors of Samachablo. In the second half of the 19th century and the first decades of the 20th century, you will hardly find any information about the events taking place in the theatre world without mentioning Machabeli's name.

Back in 1910, the magazine "Teatri da Tskovreba" named Zaal Machabeli as one of the 12 members of the first Georgian drama troupe on the 30th anniversary of the permanent Georgian theatre troupe.

**Keywords:** Tskhinvali; Ivane Machabeli; Zaal Machabeli; Theatre; The first performances of amateur actors; Samachablo; Permanent troupe of Georgia.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,  
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,  
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

**აბსტრაქტი.** უნდა ითქვას, რომ ქართული პროფესიული სცენის მოამაგეთა და სულისჩამდგმელთა შესახებ საუბარი წარმოუდგენელი გახლავთ კიდევ ერთი, ცხინვალის სცენაზე დაფრთიანებული, მსახიობის ზაალ მაჩაბლის ღვაწლის ხსენების გარეშე.

ზ. მაჩაბელი ცხინვალის მაშინდელ სცენისმოყვარეთა წრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორის სცენისმოყვარეთა წრეში გადადის, სადაც არანაკლებ ნაყოფიერ საქმიანობას განაგრძობს. საერთოდ ცხინვალის და გორის სცენისმოყვარეთა წრეებს შორის თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა არსებობდა.

სცენისმოყვარეები თავიდანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცხინვალის არა მარტო კულტურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ყოველთვის ეხმიანებოდნენ აქ განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს და დროულად რეაგირებდნენ მათზე.

ამ მიმართულებით აქტიური მოღვაწეობით გამოირჩეოდა ივანე მაჩაბელი. იგი სათავეში უდგება პეტერბურგელ სტუდენტთა წრეს. დაულალავად შრომობს. თარგმნის შექსპირს, მოლიერს, გოლდონს, 1879 წელს პეტერბურგშივე მართავს რამდენიმე ქართულ წარმოდგენას.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თეატრი გამოირჩეოდა რეპერტუარის სილატაკით, ამდენად სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ თეატრის მესვეურნი ხშირად მიმართავდნენ შექსპირს. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, მისათითებელია დიდი ილიას და ივანე მაჩაბლის ღვაწლი, რომელიც დასდეს მათ ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინება-განვითარებას. როგორც ნ. ყიასაშვილი მიუთითებს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ილია ჭავჭავაძის და, განსაკუთრებით ივანე მაჩაბლის, როგორც ძირითადი მთარგმნელის როლი მხოლოდ და მხოლოდ შექსპირის ტექსტის გადმოქართულებით ამოიწურებოდა. „მეფე ლირის“, „ჰამლეტის“, „ოტელოს“ თუ „მაკბეტის“ ქართული თარგმანები, ამავე დროს, შექსპირის თავისებურ, ღრმა ინტეპრეტაციას წარმოადგენენ, ილიასა და ივანე მაჩაბელს შესანიშნავად ესმოდათ შექსპირის შემოქმედების არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური სრულფასოვნება, არამედ მისი დიდი ღრმად ჰუმანისტური მსოფლმხედველობრივი საფუძვლებიც, სწორედ შექსპირისადმი ამ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურმა ნათესაობამ შვა როგორც ბრწყინვალე თარგმანები, ისევე შესანიშნავი ქართული შექსპირული თეატრიც“.

1888 წელს ცალკე წიგნად გამოდის „ოტელოს“ თარგმანი, რომელსაც დადებითი შეფასება მისცა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილით ალ. სარაჯიშვილმა.

და მაინც, სამაჩაბლოს მკვიდრ სცენისმოყვარეთა შორის განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი უკავია ზაალ მაჩაბელს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში ძნელად შეხვდებით თეატრალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების ამსახველ რომელიმე ინფორმაციას ზ. მაჩაბლის სახელი რომ არ ფიგურირებდეს.

ჯერ კიდევ 1910 წლის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, მუდმივი ქართული თეატრალური დასის 30 წლის თავზე პირველი ქართული დრამატული დასის 12 კაცთან შემადგენლობაში ზაალ მაჩაბელს ასახელებს.

**საკვანძო სიტყვები:** ცხინვალი; ივანე მაჩაბელი; ზაალ მაჩაბელი; თეატრი; სცენისმოყვარეთა პირველი წარმოდგენები; სამაჩაბლო ; მუდმივი ქართული დასი.

**შესავალი.** უნდა ითქვას, რომ ქართული პროფესიული სცენის მოამაგეთა და სულისჩამდგმელთა შესახებ საუბარი წარმოუდგენელი გახლავთ კიდევ ერთი, ცხინვალის სცენაზე დაფრთიანებული, მსახიობის ზაალ მაჩაბლის ღვაწლის ხსენების გარეშე.

ზ. მაჩაბელი ცხინვალის მაშინდელ<sup>1</sup> სცენისმოყვარეთა წრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორის სცენისმოყვარეთა წრეში გადადის, სადაც არანაკლებ ნაყოფიერ საქმიანობას განაგრძობს. საერთოდ ცხინვალის და გორის სცენისმოყვარეთა წრეებს შორის თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა არსებობდა.

უნდა ითქვას, რომ ცხინვალელ სცენისმოყვარეთა აქტიური წევრი, მსახიობი და დრამატული დასის დამაარსებელი ზ. მაჩაბელი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო სცენისმოყვარეთა საქმიანობაში. ეწევა ნაყოფიერ მოღვაწეობას ნ. გაბუნიას, ა. ცაგარელის, ეფ. მაჩაბლის, ნ. გოცირიძის, ელ. ჩერქეზიშვილის<sup>2</sup> და სხვათა გვერდით. მოგვიანებით იგი მუდმივი ქართული თეატრის მსახიობია. ნატო გაბუნია 1875 წელს პირველად ზაალ მაჩაბლის ხელშეწყობით გამოდის სცენაზე გორში, შემდეგ ცხინვალში.

ზაალ მაჩაბლის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ხშირად იმართებოდა სადამოწარმოდგენები, რასაც მოწმობს იმდროინდელ პრესაში გაბნეული რეცენზიები. ეს წარმოდგენები იდგმებოდა არა მარტო ადგილობრივი ძალებით, არამედ საგასტროლოდ ჩამოსული დასებისა და მსახიობების მონაწილეობით. არ დარჩენილა იმ დროინდელი რეპერტუარის არც ერთი პიესა, რომ სხვადასხვა დროს არ დადგმულიყოს ცხინვალის სცენაზე, ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით. ცნობილია, რომ ქართული სცენის ისეთმა გამოჩენილმა ოსტატებმა, როგორებიც იყვნენ: ზ. მაჩაბელი, ნ. გაბუნია, ელ. ჩერქეზიშვილი, ი. მაჩაბელი და სხვები, პირველად ცხინვალის სცენაზე გაიმაგრეს ფეხი, ხოლო შემდეგ ქართული პროფესიული თეატრის უძლიერესი მსახიობები გახდნენ.

<sup>1</sup> სცენისმოყვარეთა წრეები ცხინვალსა და გორში არსებობდა XIX საუკუნის დამლევს.

<sup>2</sup> **ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილი** - ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. საზოგადო მოღვაწისა და ეთნოგრაფის ნიკოლოზ ხიზანაშვილის (ურბნელი) მეუღლე. დაიბადა 1863 წლის 14 ნოემბერს, გორის მაზრის სოფელ კომკაში. სწავლობდა გორის კერძო ქალთა სასწავლებელში. გიგა მაჩაბელთან პირველი ქორწინება წარუმატებელი აღმოჩნდა. მათ უკიდურეს სიღარიბეს ერთვოდა მეუღლის აუტანელი ხასიათი, რამაც განაპირობა ქორწინების მესამე წელს ქმრის სახლიდან წასვლა. მალევე გაიცნო ნიკო ხიზანაშვილი, ცხინვალში მოსამართლის თანაშემწედ მომუშავე ცნობილი იურისტი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, რომელთან ურთიერთობაც მალე მგზნებარე სიყვარულში გადაეზარდა. იმავე ხანებში მონაწილეობდა პირველ სამოყვარულო წარმოდგენებში, ხოლო პროფესიულ სცენაზე ე. ჩერქეზიშვილის დებიუტი გაიმართა 1886 წლის 15 სექტემბერს ვ. დიაჩენკოს პიესაში „ეხლანდელი სიყვარული“. ამავე წლიდან იგი ქართული დრამატული თეატრის დასში ირიცხება. აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო თეატრთან, რომელიც უკიდურესად ხელმოკლე აუდიტორიაზე იყო გათვლილი. საქველმოქმედო სპექტაკლებში მონაწილეობა ლიზას მთელი შემოქმედების მანძილზე არ შეუწყვეტია. 1906 წელს ნიკო ხიზანაშვილი მოკლეს. 1907 წელს მისი უფროსი ქალიშვილი ნუცა მაჩაბელი, ვინმე ელიზბაროვის დასმენით, არალეგალურ სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, ციმბირში გადაასახლეს. ელისაბედის დედა, მარიამი, შვილიშვილის დაპატიმრებისა და მათი სახლის ჩხრეკის გამო, ინფარქტით გარდაიცვალა. ლიზას უფროსი ვაჟი, ვახუშტი, მძიმე ფსიქიკური აშლილობით მოსკოვში გარდაიცვალა, უმცროსი ვაჟი კი ემიგრაციაში წავიდა და 26 წლის შემდეგ სამშობლოში ტუბერკულოზით დაავადებული დაბრუნდა. ქართველი საზოგადოება მსახიობს მუდამ მოწიწებითა ეპყრობოდა. ჯერ კიდევ 1916 წელს, მას 30 წლის, ხოლო 1926 წელს - 45 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ქართული კინოხელოვნების სათავეებთან იდგა.

სცენისმოყვარეები თავიდანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცხინვალის არა მარტო კულტურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ყოველთვის ეხმებიანოდნენ აქ განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს და დროულად რეაგირებდნენ მათზე.

თბილისში 1879 წელს მუდმივი ქართული თეატრალური დასის შექმნას განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა გორელ სცენისმოყვარეთა წრე (დროება, 1875). იგი გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა და იტვირთა საპატიო მისია ხელოვნების მსახურებისა. გორელმა სცენისმოყვარეებმა ინტენსიური თანამშრომლობა გააჩაღეს ახალშობილი მუდმივი დასის მსახიობებთან. მათთან ერთად აწყობდნენ წარმოდგენებს გორში, ცხინვალში, ხაშურში. მალე სახელიც გაითქვეს, მაგრამ უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. უმთავრეს წინააღმდეგობას სცენის უქონლობა წარმოადგენდა. ამ რთულ ვითარებაში თავს იჩენს გორელი მოსახლეობის გულისხმიერება და ხელოვნების მსახურების წყურვილი.

გორელ ხალხს ობიექტურ დახასიათებას აძლევს ავთანდილ თუმანიშვილი: საზოგადოებაში—თავაზიანნი, მეგობართმოყვარენი, მხიარულნი, ბრძოლის ველზე—გულადნი, შემართებულნი და შმაგნი; და ბოლოს, გაბედულნი და უშიშარნი. სიტყვამოსწრებულნი და ენამეტყველნი. სახეზე ოდნავ ამპარტავნობის იერი სდევთ; ტანით—დიდნი და მკვრივნი, სანახაობით დარბაისელნი და ახოვანნი...“ (თუმანიშვილი, 1816) ამ თვისებებს თუ გავითვალისწინებთ გორელ სცენისმოყვარეებს მალევე გამოუჩნდნენ გულშემატკივარნი და მოზღვავებული პრობლემების დაძლევაში დახმარების ხელი გაუწოდეს ნ. დიასამიძემ და ა. თუთაევმა (თემი, 1911).

**მეთოდები.** ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

**შედეგები და მსჯელობა.** ნ. დიასამიძე და ა. თუთაევი ერთობლივი ძალებით შეუდგნენ „როტონდის“ ნახევრად დანგრეული შენობის აღდგენას, მისი მიმდებარე ბაღის გასუფთავებას, რომელიც უპატრონობისაგან ჭაობად იყო გადაქცეული (ბუხნიკაშვილი, 1965: 26). ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებას გადავხედოთ: „ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ იკისრეს გაკეთება თავის ხარჯითა. ამათ დაეხმარნენ სხვანიც.

ივანე მაჩაბელმა თხუთმეტი თუმანი გაიღო ამ სცენისათვის. ნ. დიასამიძე, რომელიც იმ დროს დიდი სახლის შენებას შეუდგა გორში, აძლევდა მუქთად ხის მასალას: ფიცრებს, ფოშტებს, წვრილ ფიცრებს, აგურს, დანარჩენი რაც დააკლდა, თუთაევმა თავის ჯიბიდან დახარჯა. სულ დაჯდა გადაკეთება, სცენის გამართვა, ორი საპირფარეოს მოწყობა, ხის სკამების დადგმა ორმოცდაათ თუმნამდე. თუთაევს და დიასამიძეს დიდი შემწეობა აღმოუჩინა არტილერიის კაპიტანმა ნელიუბინმა. ეს ძალიან განვითარებული კაცი იყო, პატიოსანი, მეგობრობა ჰქონდა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციასთან. თითქმის სულ ჩვენთან იყო, იცოდა გვარიანად მხატვრობა, ამან თავისი ხარჯით დახატა ფარდა, მოაწყო კულისები“ (თემი, 1911).

პირველი წარმოდგენა გაიმართა 1877 წლის 3 მარტს. ამ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი ქართული პრესა, კერძოდ გაზეთი „დროება“ წერდა: „რაც შეეხება თვითონ თამაშობას, ისეთნაირად მოხერხდა, რომ მოსალოდნელიც არ იყო. ბევრი ნაწილი აქტიორებისა სრულებით გამოუცდელნი იყვნენ თეატრის საქმეში, მაგრამ საქმე ისე გვარიანად წაიყვანეს, მეტადრე ქალებმა, რომ დახელოვნებულ მოთამაშეთ მიიღებდით...“ (დროება, 1877)

1909 წელს, როდესაც გორელმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა ნატო გაბუნიას იუბილე, გორში უკვე ფუნქციონირებდა ე.წ. „სახალხო თეატრი“, რომელიც ადგილობრივი რკი-

ნიგზის მუშა-მოსამსახურეთა უდიდესი მონდომების ნაყოფი გახლდათ. თეატრმა ვერ გაუმლო შექმნილ რთულ პირობებს და მალე დაიხურა, თუმცა თავისი კვალი უდავოდ დატოვა გორის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

გვინდა ხსენებული თეატრის ცხოვრებიდან მოვიხმოთ ერთი ფაქტი. ნატო გაბუნია-ცაგარელის საიუბილეოდ იქ წარმოადგინეს<sup>3</sup> ა. ცაგარელის<sup>4</sup> პიესა „ხანუმა“, მასში თვით იუბილარმაც მიიღო მონაწილეობა, ხოლო შემდგომ გამართულ საიუბილეო საღამოზე მისალოცი სიტყვით გამოვიდა სამაჩაბლოს თეატრის დიდი ქომაგი და მოყვარული ზაალ მაჩაბელი. ზ. მაჩაბელმა მოიგონა გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურული, როდესაც ერთად დაიწყეს მოღვაწეობა ახლადშექმნილ მუდმივ დასში. ისაუბრა დასის წევრებს შორის არსებულ გულითად მეგობრობაზე და წარმატებები უსურვა იუბილარს.

ჩვენ რამდენიმე სიტყვა ვთქვით ცხინვალისა და გორის სცენისმოყვარეთა იმ ურთიერთთანამშრომლობაზე, რომელთა ურთიერთობაც სანიმუშო მაგალითებს იძლეოდა. რაც შეეხება ცხინვალში ფეხადგმულ, ცხინვალის სცენისმოყვარეთა პირველი წარმოდგენების სულისჩამდგმელებსა და ორგანიზატორებს, მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია ივანე მაჩაბელს.

ზემოთ ვახსენეთ, რომ პირველი წარმოდგენის გამართვა ცხინვალში მოხერხდა 1875 წელს. „დროებამ“ ფართოდ გააშუქა ეს მოვლენა. ი. ბაქრაძე წერდა: „ცხინვალი, 31 აგვისტოს. ამ ცოტა ხანებში გორის უეზდში სამჯერ იყო ქართული წარმოდგენა: ერთი გორში და ორიც სოფ. ცხინვალში. გორის წარმოდგენაზე მე არ დავსწრებივარ და ამისათვის არ ვიცი როგორ წარმოადგენს, მხოლოდ ეს კი გავიგე სანდო პირებისაგან, რომ ერთს გაბუნიას ქალს ეთამაშა მშვენიერად.

აგრეთვე არ დავსწრებივარ ცხინვალში პირველ წარმოდგენას. მეორე წარმოდგენაზედ კი დავესწარი.

წარმოადგინეს „გაყრა“ გ. ერისთავისა, აგვისტოს 31-ს კვირა დელს, უფ. ალექსანდრე ოჰანოვის სახლში.

საზოგადოთ წარმოდგინა ისე მშვენიერად წავიდა, რომ თვით თფილისშიც იშვიათია ხოლმე ასე კარგად წარმოდგენა. კერძოთ კი უნდა შვნიშნოთ ზოგიერთა პირებს: მაგ. მიკირტუმას როლის აღმასრულებელი ვასილ ტერაბრამიანი აზვიადებდა თავის როლს და ხმასაც. ძალას ატანდა; როდესაც კი თავის ბუნებით ხმაზედ წასცდებოდა ხოლმე ლაპარაკი, უფრო კარგად გამოდიოდა. კ. კობალაძემაც ვერ აასრულა კარგად ბარამის როლი: იმის ნაცვლად რომ ყური ეგდო ანდუყაფარის ლაპარაკისთვის და პასუხი მიეგო, ის ვიღაცას ეჩხუბებოდა, და როდესაც ჩხუბი გაათავა, იმის მაგიერად რომ თავის როლიდამ ეთქვა, იმან დაიჩივლა, რომ მეჩხუბებიანო. აგრეთვე ზუსტათ აასრულა გაბრიელას როლი დ. ფავლენიშვილმა: ისე უსიციცხლოდ და უგრძნობლად ლაპარაკობდა, რომ კაცს მოლაპარაკე მაშინ ეგონებოდა. კაცებში უნაკლოლოდ აღასრულეს თავიანთი როლები ზაალ მაჩაბელმა - პავლეს როლი. ივანე მაჩაბელმა - ივანეს როლი და ნ. გაბუნია - სეკრეტრის როლი, დანარჩენთანაც ურიგოდ არ უთამაშნიათ.

განსაკუთრებით ქებისა და პატივისცემის ღირსნი არიან მოთამაშე ქალები. ამათ დასთვურნეს ის ცრუმორწმუნეობა, რომ ვითომაც თეატრში თამაშობა უნამუსობა იყოს. მაგრამ რას ბრძანებთ, ბატონებო! აქ ცხინვალში არამც თუ თამაშობას, არამედ თვით

<sup>3</sup> წარმოდგენა და საიუბილეო საღამო გაიმართა გორში ე.წ. „სახალხო თეატრში“, 1909, 26/XII;

<sup>4</sup> ავესენტი ცაგარელი - ქართველი დრამატურგი და მსახიობი. 1879 წლიდან იყო თბილისში შექმნილი მუდმივი ქართული დასის აქტიური წევრი და დრამატურგი. ა. ცაგარელს ეკუთვნის დრამები, ლექსები, პუბლიცისტური წერილები. მისმა დრამატულმა ნაწარმოებებმა დიდი აღიარება მოიპოვა, რაც განაპირობა პიესების ცოცხალმა სასაუბრო ენამ, დახვეწილმა დიალოგებმა და ოსტატურად დახატულმა ტიპაჟებმა.

თეატრში წასვლასაც კი უნამუსობას ეძახიან ზოგიერთა ქალები. თუ ღმერთი გწამთ, დააყენეთ თქვენი წანკლიანი ენა და როდესაც თქვენ არ გინდათ მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეში, სხვას მაინც ნუ უშლით.

იმედი გვაქვს, რომ ეს ქალები ზოგიერთების უბედობას ყურს არ უგდებენ და კვლავაც არ მოაკლებენ საზოგადოებას თავიანთ თამაშობას და ერთი-ორად გაამშვენებენ წარმოდგენას.

წარმოდგენის დროს ზოგიერთა პირებმა წაიკითხეს: „ქალი რომელი თვეა,“ „ზღაპარი“, „სიმღერა მკის დროს“ აკაკისა, „მუშა“ და „ნანა“ ილ. ჭავჭავაძისა, „საკვირველი ამბავი“ ანტ. ფურცელაძისა<sup>5</sup>. ზაალ მაჩაბელმა წაიკითხა ერთი ძველი ხელთ-ნაწერი ლექსი „გლოვა წვერის მოპარსვაზე“. ამის წაკითხვაზე მაყურებელთ უფრო ბევრი იცინეს, რადგან ამ ლექსის შინაარსი ეხებოდა წამკითხველს, რომელმაც მოიპარა წვერი წარმოდგენის გულისათვის.

ხალხი იმდენი იყო, რამდენიც კი დაეტეოდა ზალაში. ე. ი. ასამდინ სული. ამაზედ მეტი კიდევ თხოულობდა ბილეთებს; მაგრამ აღარც ბილეთები და აღარც ზალაში ადგილი აღარ იყო. დამსწრენი მეტის - მეტად მხიარულად იყვნენ და კმაყოფილნიც დარჩნენ.

წარმოდგენიდან ფული სულ 38 მანეთი შემოვიდა. აქედამ, ხარჯს გარდა, რვა მანეთი დარჩა.

მადლობის ღირსია ალექსანდრე ოჰანოვი, რომელსაც სახლი უფასოთ ეთხოვებინა და მასპინძლობაც გაეწია აქტიორებისა და აქტრისებისათვის“ (დროება, 1875: 1-2).

სცენისმოყვარეთა მიერ ნავსის გატეხვით და პირველი სპექტაკლების დადგმის ფაქტით ფრთები ესხმება ერის საუკეთესო შვილების მრავალწლოვან ოცნებას, მანამდე კი, ბავშვობიდანვე სცენით გატაცებულ, თვითონაც ღრმა მოხუცებულობამდე ქართული თეატრის ტრფიალით მოსულდგმულ ქართული ენის მასწავლებლის, პეტრე უმიკაშვილის<sup>6</sup> ნამოწაფარი ახალგაზრდა ვანო მაჩაბელი თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით, პეტერბურგში ბანკის საქმეებზე ჩასული ილიას ყურადღებას დაიმსახურებს. მალე ვანოს ძმის, ვასო მაჩაბლის მეშვეობით ილიას და ვანოს ნაცნობობა გულითად მეგობრობაში გადაიზრდება. პეტერბურგში კი პატარა სტუდენტურ ოთახში მისხდომიან მაგიდას და შექსპირის ტრაგედიებს ჩაკვირკიტებენ, რომ „ახალ თეატრს, რომლის დაფუძნებას დღე-დღეზე მოელიან, ახალი შესანიშნავი პიესა შეემატებაო“ (ჭელიძე, 1968: 67).

ვანო სათავეში უდგება პეტერბურგელ სტუდენტთა წრეს. დაულალავად შრომობს. თარგმნის შექსპირს, მოლიერს, გოლდონს, 1879 წელს პეტერბურგშივე მართავს რამდენიმე ქართულ წარმოდგენას.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თეატრი გამოირჩეოდა რეპერტუარის სიღატაკით, ამდენად სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ თეატრის მესვეურნი ხშირად მიმართავდნენ შექსპირს. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, მისათითებელია დიდი ილიას და ივანე მაჩაბლის ღვაწლი, რომელიც დასდეს მათ ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინება-განვითარებას. როგორც ნ. ყიასაშვილი მიუთითებს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ილია ჭავჭავაძის და, განსაკუთრებით ივანე მაჩაბლის,

<sup>5</sup> ანტონ ფურცელაძე - მწერალი, პუბლიცისტი. 1862 წლიდან იგი სისტემატურად ბეჭდავს ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის გიმნაზიაში, ვექილად - ზუგდიდში. ჯერ კიდევ 1854 წელს დაუახლოვდა ჟურნალ "ცისკრის" რედაქციას, ხოლო 1867 წლიდან მისი ფაქტობრივი რედაქტორი გახდა. 1869 წლიდან ხელმძღვანელობდა ჟურნალ "მნათობს", შემდეგ - "გუთნისდედას".

<sup>6</sup> პეტრე უმიკაშვილი - მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1864 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. 1893 წლამდე მუშაობდა მასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში; 1874 წელს დაბეჭდა "ლექსები სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი"; გამოაქვეყნა "არსენას ლექსი", "ეთერიანი", "ქართული ანდაზები"; შექმნა ქართული ფოლკლორის მდიდარი კოლექცია.

როგორც ძირითადი მთარგმნელის როლი მხოლოდ და მხოლოდ შექსპირის ტექსტის გადმოქართულებით ამოიწურებოდა. „მეფე ლირის“, „ჰამლეტის“, „ოტელოსა“ თუ „მაკბეტის“ ქართული თარგმანები, ამავე დროს, შექსპირის თავისებურ, ღრმა ინტეპრეტაციას წარმოადგენენ, ილიასა და ივანე მაჩაბელს შესანიშნავად ესმოდათ შექსპირის შემოქმედების არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური სრულფასოვნება, არამედ მისი დიდი ღრმად ჰუმანისტური მსოფლმხედველობრივი საფუძვლებიც, სწორედ შექსპირისადმი ამ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურმა ნათესაობამ შვა როგორც ბრწყინვალე თარგმანები, ისევე შესანიშნავი ქართული შექსპირული თეატრიც“.

1888 წელს ცალკე წიგნად გამოდის „ოტელოს“ თარგმანი, რომელსაც დადებითი შეფასება მისცა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილით ალ. სარაჯიშვილმა.

„ბ-ნი მაჩაბელი შეუდგა უდიდესი პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას პირდაპირ ინგლისურის ენიდგან. წელს დაბეჭდა „ჰამლეტი“ და „ოტელო“ შექსპირისა... მაჩაბლის შრომა პირველი ნაბიჯია სისტემატურის და შეუწყვეტელის თარგმანებისა და უნდა ვთქვათ, სწორე ნაბიჯიც, რადგანაც თარგმანი კარგის ენით არის შესრულებული“ (ჭელიძე, 1968: 235-236).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მაჩაბლისეული ქართულით აჟღერებული თარგმანები სწორუპოვარი გახლდათ. ნათქვამის კიდევ ერთხელ დასადასტურებლად, ზემოთ დასახელებული ფაქტების გვერდით, კიდევ ერთი შესანიშნავი ფაქტის გამოხმობა გვსურს. ოლივერ უორდროპი მაჩაბლისადმი გამოგზავნილ ბარათში წერს: - „...თქვენ მიერ თარგმნილ „იულიოს კეისრით“ შეგიძლიათ იამაყოთ. ეს თქვენს გენიალობასაც ამტკიცებს და თქვენი ენის საოცარ სიმდიდრესაც. მე ხელთა მაქვს ამავე პიესის ახალი, ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული გამოცემები, მაგრამ თქვენს თარგმანს ვერც ერთი ვერ შეედრება. თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ, რომ თუ თანამედროვეები ვერ გაფასებენ სათანადოდ, შთამომავლობა დაგაფასებთ და თაყვანსა გცემთ“ (ქართული შექსპირიანა, 1959: 143).

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ „მეორე წარმოდგენა ცხინვალში 1879 წლის ოქტომბერში გაუმართავთ. 1879 წლის 19 ოქტომბრის (#216) გაზეთ „დროებაში“ ძუნწი ცნობაა გამოქვეყნებული ამ წარმოდგენის შესახებ. სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ მოლიერის „ძალად ექიმი“ და ალალო თუთაევის „აღასას და პრიკასჩიკის დავა“. ამ წარმოდგენიდან შემოსული 76 მანეთი გადაუციათ ივანე მაჩაბლისთვის „რომელიღაც ქველ საქმისათვის მოსახმარად“ - წერს გაზეთი. აქ ორი საინტერესო ცნობა გვხვდება: ერთი ის, რომ ივანე მაჩაბელი კვლავ განაგრძობს ცხინვალის სცენისმოყვარეებზე ზრუნვას და, მეორე, - მოლიერის კომედია წარმოუდგენიათ“ (ლაშხია & მეშვილდე, 1980: 8).

როგორც ჩანს, პირველ და მეორე წარმოდგენებს შორის, რომლებიც ცხინვალში გაიმართა საკმაო ინტერვალია. ასეთივე დიდი დრო დაჭირდა მესამე სპექტაკლის დადგმას<sup>7</sup>.

სხვაგვარი მდგომარეობაა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულში. უკვე 90-იანი წლებიდან გახშირდა ცხინვალელ სცენისმოყვარეთა წარმოდგენები. ამ პერიოდში ცხინვალის სცენისმოყვარეთა წრიდან წინა პლანზე იწევს ეფემია მაჩაბლის სახელი, როგორც კულტურული განვითარებისთვის თავდაუზოგავი მებრძოლისა. მისი ხელმძღვანელობით არაერთი წარმოდგენა გაიმართა, რომელთაგან მიღებული შემოსავლები წინასწარ განსაზღვრულ კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებოდა<sup>8</sup>. რეგიონის კულტურულ განვითარებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის ნ. გაბუნიას, ა. ცაგარელის და ზ. მაჩაბლის გვერდით. გარდა სასცენო ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისა, მის სახელთანაა დაკავშირებული

<sup>7</sup> მესამე წარმოდგენა ცხინვალში გაიმართა 1887 წლის სექტემბერში (იხ. ივერია, 1887).

<sup>8</sup> მაგალითისთვის დავსძენთ, რომ 1894 წლის 24/VIII ე. მაჩაბლის თაოსნობით წარმოდგენა გამართულა ცხინვალის წიგნსაცავის სასარგებლოდ (იხ. ივერია 1894).

1881 წელს ცხინვალში პირველი ორკლასიანი სასწავლებლის დაარსება, ე. მაჩაბლის ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგია 1895 წელს ცხინვალში ქალთა სკოლის გახსნა, პირველი ბიბლიოთეკა და ა.შ.

და მაინც, სამაჩაბლოს მკვიდრ სცენისმოყვარეთა შორის განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი უკავია ზაალ მაჩაბელს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში ძნელად შეხვდებით თეატრალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების ამსახველ რომელიმე ინფორმაციას ზ. მაჩაბლის სახელი რომ არ ფიგურირებდეს.

ჯერ კიდევ 1910 წლის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, მუდმივი ქართული თეატრალური დასის 30 წლის თავზე პირველი ქართული დრამატული დასის 12 კაციან შემადგენლობაში ზაალ მაჩაბელს ასახელებს.

„წელს შესრულდა 30 წელი, რაც მუდმივი ქართული დასი შესდგა.

მაგრამ ეს მუდმივი დასი უცებ კი არ შემდგარა, ერთის ხელის მოქნევით კი არ გაჩენილა ქვეყანაზედ, არამედ რამოდენიმე წელიწადი უმზადდებოდა ნიადაგი მუდმივი დასის დაარსებას. ჯერ მესამოცე წლებიდანვე იმართებოდა ქართ. წარმოდგენები. 1875 წლიდან კი მუდამ წელს ხანდაზმით ინტელიგენცია ჰმართავდა წარმოდგენებს სცენის მოყვარეთა დახმარებით სხვა და სხვა მიზნით. ამავე ხანში შესდგა ახალგაზრდობის წრე, რომელმაც განიზრახა მუდმივი დასის დაარსება და ქართული თეატრის ფეხზე დაყენება. შეუდგნენ კიდევ საქმეს, შეადგინეს დასი 1879/880 წლის სეზონისთვის. დასში შევიდნენ მომეტებული ნაწილი იმ სცენისმოყვარეთა, რომელნიც წინადავე იღებდნენ მონაწილეობას ქართულ შემთხვევით წარმოდგენებში.

დასში, აი, ვინ მოჰყვნენ, როგორც მსახიობნი:

კოტე ყიფიანი<sup>9</sup>, რეზონიორი და ძლიერი დრამატული როლების ამსრულებელი;

კოტე მესხი, დრამატულ და განსაკუთრებულ ხასიათის როლების ამსრულებელი;

ვასო აბაშიძე - კომიკური როლები;

მარიამ საფაროვ-აბაშიძის<sup>10</sup> - ახალგაზრდა ქალების როლებისთვის;

<sup>9</sup> კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი - დრამატურგი, მთარგმნელი, მსახიობი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, პეტერბურგისა და მოსკოვის სამხატვრო აკადემიებში. 1875 წელს მეფისნაცვლის მიწვევით ბორჯომის მამულების უფროსი გამგის თანაშემწედ მუშაობს. აწარმოებდა მეცნიერული ხასიათის დაკვირვებებს, რომელთა საფუძველზეც დაიწერა მისი მეცნიერული შრომები: "ქვეყანა, ბუნება და ადამიანი", "მცენარე და ადამიანი", "საუბარი ბუნების შესახებ", "ზოგიერთი ცნობა ბორჯომის ისტორიიდან" და სხვა. შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურა ქართულ თეატრს. იყო განახლებული ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი პირველი რეჟისორი და მსახიობი; წერდა თეატრსა და მსახიობთა ოსტატობაზე, თარგმნიდა მხატვრულ და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურას.

<sup>10</sup> მარიამ (მაკო) საფაროვა - დაიბადა 1860 წლის 18 თებერვალს, თელავში. ოჯახის თბილისში გადასვლის შემდეგ მათ ხშირად სტუმრობდნენ: რაფიელ ერისთავი, აკაკი, სერგეი მესხი, ილია და სხვ. აკაკი წერეთელი და სერგეი მესხი იმთავითვე მოიხიბლნენ მისი არტისტული ტალანტით, მათ დიდი შრომა გასწიეს რომ მაკოს ოჯახის წევრები მის თეატრში წაყვანაზე დაეთანხმებინათ. მაკოს დებიუტი წარმატებით შედგა 1878 წლის 27 ოქტომბერს. მომდევნო წლის მაისში, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დახმარებით, შეიქმნა პირველი ქართული პროფესიული თეატრალური დასი, რომლის წევრებსაც უკვე ხელფასები დაენიშნათ. მაკოს ხელფასი 50 მანეთით განისაზღვრებოდა. დასის პირველი წევრები იყვნენ: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, მარიამ ყიფიანი-ქართველიშვილი, ბაბო კორინთელი-ყიფშიძე, ავქსენტე ცაგარელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ზაალ მაჩაბელი. ქალების უკმარისობის გამო ამ უკანასკნელს ხშირად ქალის როლების შესრულებაც უწევდა. მაკო მალევე ვასო აბაშიძის მეუღლე ხდება. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, მაკო საფაროვამ უამრავი სცენური სახე შექმნა. 1912 წლის იანვარში მაკოს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს. 1923 წლის 2 იანვარს, კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლში „მზის დაბნელება“



ნატო გაბუნია - ხნიერ ქალების როლებისათვის;  
 მ. ყიფიანი - ქართველიშვილისა;  
 ბარბარე კორინთელი-ყიფშიძისა;  
 ავქ. ცაგარელი - კომიკური როლებისათვის;  
 ზაალ მაჩაბელი - დრამატიულ როლებისათვის;  
 ნიკო თომაშვილი (შიშნიაშვილი) კომიკურ როლებისათვის;  
 ადამ ჩუბინაშვილი;  
 გრ. ყიფშიძე - სუფლიორი.

აი, ამ ხალხმა ჩაუყარა საძირკველი ჩვენს თეატრს, ამათ გადასდგეს დიდებული, გაბედული ნაბიჯი საზოგადოების ცხოვრების გზაზე; ამათ გაკვალეს ნავალი; მხოლოდ ამათთან ერთად და ამათ შემდეგ გაჩნდა ქართველი მსახიობი... ვაჟა, მათს ღვაწლს!" (თეატრი და ცხოვრება, 1910: 9-10)

### გამოყენებული ლიტერატურა:

ბუხნიკაშვილი, მ. (1965). *გორის თეატრი*. თბილისი.  
*დროება*. (1875). #104.  
*დროება*. (1877). #27.  
*თეატრი და ცხოვრება*. (1910). ქართული თეატრის ისტორიიდან. #1.  
*თემი*. (1911). #4.  
 თუმანიშვილი, ა. (1816). *აღწერილობა ქართული ქალაქის გორისა*. პეტერბურგი.  
*ივერია*. (1887). #212.  
*ივერია*. (1894). #161.  
 ლაშხია, ნ., & მემვილდე, თ. (1980). *ცხინვალის ქართული თეატრი*. თბილისი.  
*ქართული შექსპირიანა*. (1959). ნ. ყიასაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტ. I. თბილისი.  
 ჭელიძე, ვ. (1968). *ივანე მაჩაბელი*. თბილისი.

### REFERENCES:

bukhnik'ashvili, m. (1965). *goris teat'ri [Gori Theatre]*. Tbilisi.  
*droeba [Droeba]*. (1875). #104.  
*droeba [Droeba]*. (1877). #27.  
*teat'ri da tskhovreba [Teatri da tskhovreba]*. (1910). kartuli teat'ris ist'oriidan [From the history of the Georgian Theatre]. #1.  
*temi [Temi]*. (1911). #4.  
 tumanishvili, a. (1816). *aghts'eriloba kartuli kalakis gorisa [The description of the Georgian town of Gori]*. Petersburg.  
*iveria [Iveria]*. (1887). #212.  
*iveria [Iveria]*. (1894). #161.  
 lashkhia, n., & meshvilde, t. (1980). *tskhinvalis kartuli teat'ri [The Georgian theatre of Tskhinvali]*. Tbilisi.  
*kartuli sheksp'iriana [The Georgian Shakespeariana]*. (1959). Edition, forefront and remarks by N. Kiasashvili. I. Tbilisi.  
 ch'elidze, v. (1968). *ivane machabeli [Ivane Machabeli]*. Tbilisi.

საქართველოში“ (ზ. ანტონოვი) იგი უკანასკნელად გამოვიდა რუსთაველის დრამატული თეატრის სცენაზე.